საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

Legal Entity of Public Law
SOCIAL SERVICE
AGENCY

ს/კ 202178927

SSA 7 22 00204293

11/08/2022

მოქ. მირანდა თეთრაძეს

პ/ნ - 01017047251

მცხ. ქ. თბილისი, თ. ბოჭორიშვილის ქ. N20

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

Foi+request-837-18bdaf17@askgov.ge

Foi+request-837-81ad397a@askgov.ge

ქალბატონო მირანდა,

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხილულ იქნა სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მისამართზე მიმდინარე წლის 4 აგვისტოს შემოსული თქვენი განცხადება (სააგენტოში რეგისტ. დოკ. N192064, 08.08.2022 წ.), გარკვეული სახის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ სააგენტოს ადმინისტრირების სფეროში შემავალი სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლე, ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა და გადარიცხული თანხების შესახებ (მათ შორის: „საარსებო შემწეობის“ მიმღები ბენეფიციარების შესახებ) ყოველთვიურად განახლებადი სტატისტიკური ინფორმაციის (თითოეული მუნიციპალიტეტისა თუ რეგიონის ჭრილში) მიღება შესაძლებელია სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით (მისამართი: www. ssa. gov.ge, ჩანართი: “სტატისტიკა”).

აქვე გაცნობებთ, რომ „საარსებო შემწეობის“ მიმღებ ბენეფიციართა (ოჯახი, პირი) და გადარიცხული თანხების შესახებ საჯარო, სტატისტიკური ინფორმაცია განთავსებულია აღნიშნული ჩანართის მე-5 თავში, სადაც 2008 წლიდან (თვეების მიხედვით), წარმოდგენილია ფულადი სოციალური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა ჭრილში. კერძოდ, თქვენ მიერ მოთხოვნილი კატეგორიებიდან:

1. საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით - ცხრილი 5.1;

2. საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია - ცხრილი 5.2;

3. საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით - ცხრილი 5.3;

4. საარსებო შემწეობის მიმღები პირების განაწილება სქესობრივ ჭრილში - ცხრილი 5.4;

5. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების განაწილება წევრთა რაოდენობის მიხედვით - ცხრილი 5.5.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თამილა ბარკალაია